საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**

**საქპატენტი**

ქ. მცხეთა "11" 10 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1404/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 13 სექტემბრის N 73922/03 განაცხადით შპს „პაუერ თულს ჯორჯიას" წარმომადგენელმა ედუარდ ფუტკარაძემ (მის: გაგარინის ქ.30, ბათუმი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „SILEN BRILLIANT სილენ ბრილიანტი СИЛЕН БРИЛЛИАНТ" (რეგ. N 24123) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „SILEN BRILLIANT სილენ ბრილიანტი СИЛЕН БРИЛЛИАНТ" (რეგ. N 24123) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 30.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 30.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „SILEN BRILLIANT სილენ ბრილიანტი СИЛЕН БРИЛЛИАНТ" (რეგ. N 24123) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 380), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 11.10.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
**www.sakpatenti.org.ge**

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; ჯემალ ხადურის (მის: შპს „პაუერ თულს ჯორჯიას“ წარმომადგენელს ედუარდ ფუტკარაძეს (მისამართი: გაგარინის ქ.30, ბათუმი)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

K - PAX

კ- პაქსი

К - ПАКС

რეგისტრაციის N 24124

მფლობელი: შპს „პაუერ თულს ჯორჯია“

მისამართი: გაგარინის ქ.30, 6000, ბათუმი, საქართველო

კლასი:

7 - მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); შეერთებები და გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსხვავებულნი ხელის იარაღებისაგან; ინკუბატორები.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

**SILEN BRILLIANT**

**სილენ ბრილიანტი**

**СИЛЕН БРИЛЛИАНТ**

რეგისტრაციის N 24123

მფლობელი: შპს „პაუერ თულს ჯორჯია“

მისამართი: გაგარინის ქ.30, 6000, ბათუმი, საქართველო

კლასი:

7 - მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); შეერთებები და გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღები, განსხვავებულნი ხელის იარაღებისაგან; ინკუბატორები.